განკარგულება:**გ-49. 49241806**
თარიღი:**28/06/2024**

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართის -7 (შვიდი) ოთახის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს/ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 ივნისის №48-4824171164 წერილი, რომელშიც საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N536 განკარგულებისა და სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 19 ივნისის MOD 1 24 00753628 წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილებას, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი -7 (შვიდი) ოთახი, დანართის სახით წარმოდგენილი ნახაზების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლისა და „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 აპრილის N 536 განკარგულების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს/სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი -7 (შვიდი) ოთახი (დანართი ნახაზის სახით განკარგულებას თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი